ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲔᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲒᲐᲖᲔᲗᲘ ᲒᲐᲛᲝᲓᲘᲡ 1920 ᲬᲚᲘᲡ 3 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲓᲐᲜ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ, ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲝᲠ�გᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

№ 161 (18703) ᲨᲣᲗᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 14 ᲘᲕᲚᲘᲡᲘ, 1983 ᲬᲔᲚᲘ ᲤᲐᲡᲘ 3 ᲙᲐ�პ.

535 ᲙᲝᲛᲙᲨᲘ ᲢᲝᲜᲐ ᲩᲐᲘᲡᲙᲝᲗᲕᲘᲡ

ᲐᲠ ᲨᲔᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ ᲢᲔᲛᲞᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ჩაის პლანტაციებში, რესპუბლიკის ჩაის მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტის ცნობით, 13 ივლისისათვის მოკრეფილია 242.263 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი. შარშან ამ დროისათვის მოკრეფილი იყო 210.214 ტონა. წელს 32.049 ტონით მეტია მოკრეფილი.

ჩვენი სახელოვანი მეჩაიეები დარსა თუ ავდარში არ ანელებენ ჩაის ხარისხოვანი ფოთლის კრეფის ტემპს და წარმატებასაც აღწევენ. ფოთლის კრეფის სეზონის დაწყებიდან მახარაძის რაიონის მეჩაიეებმა 40.416 ტონა ხარისხოვანი ჩაის ფოთოლი მოკრიფეს, ზუგდიდის რაიონისამ — 33.990 ტონა, გალისამ — 23.887 ტონა, ქობულეთისამ — 21.082 ტონა, ოჩამჩირისამ — 19.913 ტონა, წალენჯიხისამ — 15.339 ტონა, ლანჩხუთისამ — 13.157 ტონა, ჩხოროწყუსამ — 11.631 ტონა, გეგეჭკორისამ — 10.340 ტონა, ხელვაჩაურისამ — 10.329 ტონა, ჩონტატაურისამ — 7.668 ტონა, ტყიბულისამ — 5.407 ტონა, ცხაკაიასამ — 5.222 ტონა, წყალტუბოსამ — 5.220 ტონა, ხობისამ — 4.846 ტონა, წულუკიძისამ — 4.449 ტონა, გუდაუთისამ — 3.527 ტონა, სამტრედიისამ — 1.435 ტონა, გულრიფშისამ — 1.135 ტონა, ქედისამ — 768 ტონა, [illegible] ურისამ — 761 ტონა, [illegible]სამ — 750 ტონა, ვანისამ — 508 ტონა, სოხუმისამ — 408 ტონა, აბაშისამ — 282 ტონა.

ᲛᲔᲩᲐᲘᲔᲑᲝ! არ შევანელოთ ფოთლის კრეფის ტემპი, ხაქმით ვუპასუხოთ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს წერილს საქართველოს მშრომელებისადმი.

ᲙᲕᲚᲐᲕᲐᲪ ᲒᲐᲛᲐᲠᲯᲕᲔᲑᲘᲗ

გაზეთ „კომუნისტის“ რედაქციისა და საქართველოს სსრ სახოფლო-სამეურნეო წარმოების სახელმწიფო კომიტეტის მიერ დაწესებული გარდამავალი წითელი დროშისა და ფასიანი სიმუწერისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდა ქობულეთის რაიონის სოფელ ხუცუბნის კოლმეურნეობის მეთხუთმეტე ბრიგადა, რომელსაც ოთარ ჯინჭარაძე ხელმძღვანელობს. ბრიგადას მაის-ივნისის გეგმა-დავალებით უნდა მოეკრიფა 121 ტონა ჩაის ფოთოლი. მოკრიფა და მრეწველობას გადასამუშავებლად ჩაბარა 135 ტონა, რაც 48,8 ტონით აღემატება შარშانდელ შესაბამის პერიოდში მოკრეფილს. დაშზადებული ნედლეულის 85,4 პროცენტი პირველი ხარისხისაა.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲙᲣᲗᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲖᲠᲣᲜᲕᲐ!

ᲓᲐᲚᲔᲡᲡ იკრებს წლის მეორე ნახევარი — პერიოდი, რომელმაც უნდა განსაზღვროს, როგორ ვართმევთ თავს მიმდინარე წლისა და მთლიანად მეთერთმეტე ხუთწლედის დავალებებს ეკონომიკის წამყვან დარგებში. მათ შორის გადადნყვეტი მნიშვნელობა აქვს კაპიტალურ მშენებლობასთან დაკავშირებული პრობლემების გადაწყვეტას, ამ მიმართულებით სახელმწიფო გეგმების უფუო და მაღალხარისხოვნად შესრულებას. ეს მოთხოვნები გამომდინარეობს სკკპ XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის და 1983 წლის ივნისის პლენუმების გადაწყვეტილებებიდან და მათი განხორციელებისათვის თავდადებული ბრძოლა უდიდესი ღირსების საქმეა.

სახალხო მეურნეობის უმნიშვნელოვანეს დარგში — კაპიტალურ მშენებლობაში ნინა პლანზეა წამონეული სასკოლო მშენებლობა, რომელიც ყოველთვის იყო კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ყურადღების ცენტრში.

თუ არა სკოლაში, — თქვა ამხ. ი. ვ. ანდროპოვმა თავის სიტყვაში სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის პლენუმზე, — სხვა-განსაკუთრებულ ადამიანმა ესთეტიკური აღზრდის პირველი გაკვეთილები, მთელი ცხოვრებისათვის შეიძინოს მშვენიერის გრძნობა, იმის უნარი, რომ ესმოდეს და აფასებდეს ხელოვნების ნაწარმოებს, ეზიაროს მხატვრულ შემოქმედებას!

ჩვენი პარტიის ხელმძღვანელმა ხაზგასმით აღნიშნა რომ ჩვენში ადამიანი უნდა იზრდებოდეს არა უბრალოდ გარკვეული ცოდნის მატარებლად, არამედ, უნინარეს ყოვლისა, სოციალისტური საზოგადოების მოქალაქედ, კომუნიზმის აქტიურ მშენებლად, მისთვის დამახასიათებელი იდეური მიზანდასახულობით, მორალითა და ინტერესებით, შრომისა და ქცევის მაღალი კულტურით.

ახალგაზრდობის პარტიის მოთხოვნათა შესაბამისად აღზრდისა და სწავლების სრულყოფისათვის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება, სასკოლო მშენებლობის გაფართოება და ისე მონყობა, როგორც ამას ცხოვრების დღევანდელი ეტაპი მოითხოვს. სახელმწიფო, როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების ასაგებად, მათი კაბინეტებით, ლაბორატორიებით, თანამედროვე ტექნიკით, ხელსანყოებით აღჭურვისათვის არაფერს იშურებს.

სასკოლო მშენებლობის გეგმები რომ ჩვენს რესპუბლიკაში კარგა ხანია ყოველწლიურად სრულდება, ეს ფაქტია. მაგრამ მართალია ისიც, რომ სასკოლო მშენებლობისათვის ნავარაუდევ თანხებს, არცთუ იშვიათად, ვერც დროულად ვითვისებთ და ვერც რაციონალურად ვიყენებთ. ვერ იქნა და ვერ მივაღწიეთ ამ მხრივ სტაბილურობას.

ნლეულს საექსპლოატაციოდ უნდა გადაეცეს 18802 მოსწავლისათვის გათვალისწინებული სასკოლო შენობა-ნაგებობანი. ექვსი თვის მონაცემებით, მწყობრშია მხოლოდ 1050 სამოსწავლო ადგილი. მშენებლობის ინტენსიური პერიოდი თურმე ივლის-აგვისტოა. დასანანი კია, ორ თვეში — პირველი სექტემბრისათვის — მზად უნდა იყოს ნლიური გეგმით ასამოქმედებელი სკოლების ასოლუტური უმეტესობა და ეს, ძირითადად, იერიშობანასა და ხარისხის გაუარესების ხარჯზე მოხდება. განა ადვილი იქნება, პირველი სექტემბრისათვის საექსპლოატაციოდ 15.220 მოსწავლისათვის გათვალისწინებულ სასკოლო შენობა-ნაგებობათა გადაცემა? რა თქმა უნდა, არა! არის საფუძველი ვიფიქროთ, რომ ვადაზე ვერ დამთავრდება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლების მშენებლობა ქონთურის ზონის სოფელ სვერში (მშენებლობის სამინისტროს № 8 ტრესტის მმართველი გ. კაპანაძე, ქონთურის სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ო. გოგატიშვილი), თეთრი წყაროს რაიონის სოფელ მანგლისში (სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი დ. კოეზირიძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე მ. დალაქიშვილი), ზესტაფონის რაიონის სოფელ ზემო სურებში (სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 2 ტრესტის მმართველი ა. დახუნდარიძე, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ს. ცინცაძე), გალის რაიონის სოფელ პიჩორაში (სასოფლო მშენებლობის № 7 ტრესტის მმართველი გ. ჭიტავა, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ი. კაკავა). მართალია, დმანისის რაიონის სოფელ დაგარახოს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის აგება გეგმით უფრო მოგვიანებით, მეოთხე კვარტალში უნდა დამთავრდეს, მაგრამ მისი მწყობრში ჩაყენება ამ დროისათვისაც საეჭვოა (სასოფლო მშენებლობის სამინისტროს № 6 ტრესტის მმართველი რ. იოსელიანი, რაიაღმასკომის თავმჯდომარე ნ. გაჯიევი). სკოლების დროულ ამოქმედებას ვერ უზრუნველყოფენ აგრეთვე რესპუბლიკის ზოგიერთ სხვა რაიონში და თბილისშიც.

სამშენებლო ტრესტების, სამშენებლო სამმართველოების ხელმძღვანელები მთელი გულისყურით, პასუხისმგებლობით, ფაქიზად უნდა ეკიდებოდნენ სასკოლო მშენებლობის გეგმების შესრულებას. ამ საქმისადმი ხელმძღვანელის სერიოზული მიდგომა პარტიული ეთიკის, შინაგანი კულტურის საკითხია. როცა საქმე ჩვენს მომავალ თაობას, ცალს, შვილებს, შვილიშვილებს ეხება, გულგრილობის გამოჩენა დანაშაულს უტოლდება.

ამხანაგ ე. ა. შეკარდაძემ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XIV პლენუმზე აღნიშნა, რომ „დისციპლინა იწყება კაბინეტიდან, ხელმძღვანელიდან. ამიტომ ყოველი რანგის ხელმძღვანელს, უწინარეს ყოვლისა, პარტიულ ხელმძღვანელს, ყველაზე მეტი უნდა მოვკითხოთ ყველგან და ყველაფერში ზუსტი, უბადო ნესრიგისათვის. ეს კი ნიშნავს, რომ თავად ხელმძღვანელმა უნდა აამაღლოს მომთხოვნელობა თითოეულისადმი პარტიულ კომიტეტებში, თავის შრომითს კოლექტივში, ორგანიზაციაში, ჩაუნერგოს თითოეულ კომუნისტს მაღალი პასუხისმგებლობა დაკისრებული საქმისათვის, მუშაობის მინდობილი უბნისათვის. მხოლოდ ამ შემთხვევაში, მხოლოდ ასეთი მიდგომით შეეძლებთ მივაღწიოთ პარტიული, სახელმწიფო, შრომის, სანაზრამო, საგეგმო დისციპლინის უფრო მეტ განმტკიცებას — ყველა დონეზე, ყველა რგოლში“.

სასკოლო მშენებლობისადმი ყოველდღიური კონტროლი სახალხო დეპუტატთა ადგილობრივი საბჭოების აღმასკომების უმნიშვნელოვანესი მოვალეობაა. საბჭოები მშენებლებთან ერთად აგებენ პასუხს სკოლების დროული ამოქმედებისათვის, მათი ინვენტარით, ყველა აუცილებელი ნივთით აღჭურვისათვის. ცხადია, ამ მიმართულებით არც ერთ წუთს არ უნდა შეანელონ ყურადღება პარტიის საოლქო, საქალაქო და რაიონულმა კომიტეტებმა. ისინი სისტემატურად უნდა ისმენდნენ მშენებელთა ანგარიშს სასკოლო მშენებლობის მიმდინარეობის თაობაზე და სახავდნენ ღონისძიებებს მდგომარეობის ოპერატიული გამოსწორებისათვის.

ჩვენი რესპუბლიკის მთელ რიგ ქალაქებში, რაიონებში, სოფლებში სასკოლო მშენებლობას მთელი სერიოზულობით ეკიდებიან და შედეგსაც აღწევენ. რუსთავში, მაგალითად, 1256-ადგილიანი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლა, რომელიც საექსპლოატაციოდ მიმდინარე წლის მეოთხე კვარტალში უნდა გადაცემულიყო, პირველ სექტემბერს მიიღებს მოსწავლეებს (მშენებლობის სამინისტროს № 1 ტრესტის მმართველი კ. გოგიჩაიშვილი, საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე კ. ბაქრაძე). ეს იმას ნიშნავს, რომ სადაც მონდომება და თავდადებაა, საქმეს წინ ვერაფერი დაუდგება.

ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე თვენახევარი რჩება. ამიტომაც სრულად უნდა გამოვიყენოთ სანარმოო შესაძლებლობანი, სამშენებლო ტექნიკა, მასალები იმისათვის, რომ ყოველდღიურად ვუმატოთ შრომის ტემპს, მნიშვნელოვნად გავუსწოროთ გრაფიკს, პირველი სექტემბრისათვის ასამოქმედებელი სკოლები უკვე 15 აგვისტოსათვის უნდა იყოს მზად! ეს დრო საჭიროა ინვენტარის დასადგმელად, კაბინეტების, ლაბორატორიების, სპორტული დარბაზებისა და მოედნების ნესრიგში მოსაყვანად.

ნლეულს საქართველოს მშრომელები ზეიმობენ გეორგიევსკის ტრაქტატის 200 წლისთავს. ქართველი და რუსი ხალხების ცხოვრებაში ამ ღირსშესანიშნავი მოვლენის აღსანიშნავად ემზადებიან სსრ კავშირის ყველა რესპუბლიკა, ყველა ეროვნების წარმომადგენლები. ჩვენი ვალია განსაკუთრებული მიღწევებით შევხვდეთ ამ თარიღს, ეამრავლოთ ნარმატებანი ყველა დარგში, მათ შორის სასკოლო მშენებლობაშიც.

ᲡᲡᲠ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲨᲘ

18 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ გაიმართა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომა.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ მთლიანად და სავსებით მოიწონა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1983 წლის ივნისის პლენუმის გადაწყვეტილებანი, საპროგრამო დებულებანი და დასკვნები, რომლებსაც შეიცავს ამ პლენუმზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ი. ვ. ანდროპოვის სიტყვა და მიიღო ისინი განუზრელი ხელმძღვანელობისა და შესრულებისათვის.

აღნიშნულ სხდომაზე განიხილეს სსრ კავშირის ეკონომიკური და სოციალური განვითარების 1983 წლის პირველი ნახევრის სახელმწიფო გეგმისა და სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების შედეგები. მოსმენებები ამ საკითხებზე გააკეთეს სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ლ. ა. ვორონინმა და სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრმა ვ. თ. გარბუზოვმა.

გეგმისა და ბიუჯეტის შესრულების შედეგების განხილვაში მონაწილეობდნენ მინისტრები, სსრ კავშირის სახელმწიფო კომიტეტების თავმჯდომარეები, მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოების თავმჯდომარეები, სსრ კავშირის მთავრობის სხვა წევრები.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის ნოემბრის პლენუმის მიერ შემუშავებულ იმ პრაქტიკულ ღონისძიებათა განხორციელების შედეგად, რომელთა მიზანია მუშაობის სტილის დახვეწა, მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულებისადმი კონტროლის გაძლიერება, სახელმწიფო, საგეგმო და შრომის დისციპლინის განმტკიცება და საწარმოთა და ორგანიზაციათა მუშაობაში წესრიგის დამყარება, უზრუნველყოფილია სახალხო მეურნეობის ძირითადი დარგების მიხედვით გეგმის შესრულება. ქვეყნის ეკონომიკის გრავითარების ტემპის დაჩქარება და ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესება.

სამრეწველო პროდუქციის რეალიზაციის წლის პირველი ნახევრის გეგმა შესრულდა 102 პროცენტით, სამრეწველო წარმოების მატებამ გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით შეადგინა 4,1 პროცენტი წლიური გეგმით გათვალისწინებული 3,2 პროცენტის ნაცვლად. შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში 3,3 პროცენტით გაიზარდა.

გადაჭარბებით შესრულდა ბევრ უმნიშვნელოვანეს სახეობათა სამრეწველო პროდუქციის წარმოების გეგმა. გეგმის შესაბამისად 1983 წლის პირველ ნახევარში ათვისებულია წარმოება და დაიწყო 500-ზე მეტი ახალი მანქანის, მოწყობილობის, ხელსაწყოსა და მასალების გამოშვება. დაინერგა 114 ახალი ტექნოლოგიური პროცესი.

სოფლის მეურნეობაში ორგანიზებულად დამთავრდა საგაზაფხულო მინდვრის სამუშაოები, ხორციელდება ნათესების მოვლა და საკვების დამზადება. ქვეყნის ბევრ რაიონში მიმდინარეობს მოსავლის აღება. გაიზარდა პირუტყვის სულადობა და პროდუქტიულობა. 1982 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით პირუტყვისა და ფრინველის შესყიდვა გაიზარდა 8 პროცენტით, ძროხისა — 13 პროცენტით, კვერცხისა — 4 პროცენტით.

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲖᲔ.).

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲔᲚᲔᲒᲐᲪᲘᲐᲗᲐ

ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ᲡᲣᲠᲐᲗᲖᲔ: საუბრის დროს. ᲡᲐᲥᲠᲔᲡᲞᲝᲜᲓᲔᲜᲢᲗᲐ ᲢᲔᲚᲔᲤᲝᲢᲝ.

1983 ᲬᲚᲘᲡ 12 ივლისს მოსკოვში გაიმართა მოლაპარაკება, რომელშიც მონაწილეობდნენ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მეთაურობით და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაცია საფრანგეთის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის ჟორჟ მარშეს მეთაურობით,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ბ. ნ. პონომარიოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის თანაშემწე ა. მ. ალექსანდროვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების გამგის პირველი მოადგილე ვ. ვ. ზაგლადინი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის საერთაშორისო განყოფილების სექტორის გამგე ი. ი. ზეევი.

საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ: საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი, ცენტრალური კომიტეტის მდივანი მ. გრეშეცი, საფრანგეთის კომპარტიის პოლიტბიუროს წევრი გ. ერმიე, საფრანგეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრები ჟ.-ფ. გო და ჟ.-ფ. მეიერი.

ეს შეხვედრა მოეწყო ორი პარტიის სოლიდარობის ურთიერთობის ფარგლებში, რომელიც ვითარდება 1980 წელს ერთობლივად განსაზღვრულ საფუძველზე. მან დაადასტურა შეფასებანი, რომლებიც მაშინ ჩამოაყალიბეს საერთაშორისო მდგომარეობის განვითარების ტენდენციების თაობაზე.

ორივე პარტიამ ძირითადი ყურადღება მიაპყრო იმას, რაც მთელი მსოფლიოს ხალხთა მთავარი საზრუნავია: მშვიდობასა და განიარაღებას.

მოლაპარაკების შედეგად საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციებმა მიიღეს შემდეგი განცხადება:

საერთაშორისო ვითარება უდიდეს შეშფოთებას იწვევს. კაცობრიობას ემნება ბირთვული ომის საფრთხე, მთელი თავისი კატასტროფული შედეგებით თანამედროვე ცივილიზაციისათვის, ჩვენს პლანეტაზე სიცოცხლისათვის.

უდიდესი რაოდენობის შეიარაღებას, განსაკუთრებით ბირთვული იარაღის დაგროვება, რომელიც ამჟამად ხდება, საშინელ საშიშროებას გვიქადის. იგი ქმნის მთელი კაცობრიობის მოსპობის საფრთხეს. იგი აღშფოთებას იწვევს იმის გამო, რომ შთანთქავს უზარმაზარ სახსრებს, მაშინ როცა ასობილიონობით ადამიანი, მათ შორის ბავშვები, შიმშილით, სიღატაკით, ეპიდემიებით, ეკონომიკური ჩამორჩენილობით იტანჯებიან.

უნდა შეგიჩეროთ ეს შემაძრწუნებელი ესკალაცია! სიცოცხლის, პროგრესისა და განვითარების სამსახურში უნდა ჩავაყენოთ სახსრები, რომლებიც იხარჯება სიკვდილის მოსამზადებლად! ასეთია მოთხოვნა, რომელსაც გამოთქვამს სულ უფრო მეტი სხვადასხვა მრწამსისა და სარწმუნოების მამაკაცი, ქალი, ახალგაზრდა.

მშვიდობის საქმეს საფრთხეს უქმნის ის, რომ მსოფლიო იმპერიალიზმის ყველაზე აგრესიული წრეები ცდილობენ რაღაც უნდა დაუჯდეთ შეიარონ ხალხთა სოციალური და ეროვნული განთავისუფლების პროცესი. სწორედ მათი ეს მისწრაფება იწვევს გამალებული შეიარაღების საშიშ გაძლიერებას, მათს სურვილს — თავის სასარგებლოდ შეცვალონ ძალთა თანაფარდობა მსოფლიო ასპარეზზე.

ცნობილია, რომ სხვა პოლიტიკური ძალები სხვაგვარად ანალიზებენ შექმნილ სიტუაციას. მაგრამ, ორივე პარტიის აზრით, ეს არავითარ შემთხვევაში არ უნდა აბრკოლებდეს და არც უნდა დაბრკოლოს ყველაზე ფართო სოციალური, პოლიტიკური და საზოგადოებრივი ძალების ერთობლივი მოქმედება საყოველთაო მშვიდობისათვის ბრძოლაში.

კაცობრიობისათვის ისტორიულად ახალი ფაქტორი და უდიდესი შანსი ის არის, რომ ყოველ კონტინენტზე ჩნდება აურაცხელი ძალები, რომლებიც იცავენ სიცოცხლის, მშვიდობის პირობებში ცხოვრების უფლებას. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საფრანგეთის კომუნისტური პარტია გამოთქვამენ ღრმა კმაყოფილებას მთელი მსოფლიოს ხალხების ორნახული გაქანების ბრძოლის განვითარების გამო. ისინი დარწმუნებული არიან, რომ არაფერია მშვიდობაზე უფრო ძვირფასი, და ყოველი მათგანი თავის მხრივ ადასტურებს, რომ ისწრაფის იმოქმედოს ყოველგვარი წინასწარი პირობის დაუთქმელად, ყველა კეთილი ნების ქალთან და მამაკაცთან ერთად, მთელ ძალებთან ერთად, რომლებსაც ეს სურთ, მშვიდობის, განიარაღების, უშიშროების სასარგებლოდ.

ამ თვალსაზრისით 1983 წელს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. საბოლოო ანგარიშით ნატო რომ მოახერხოს ევროპაში ამერიკული რაკეტების განლაგების თავსმოხვევა, ეს გამოიწვევს გამალებული შეიარაღების ახალ, საშიშ ესკალაციას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომპარტიის დელეგაციები დარწმუნებულნი არიან, რომ შექმნილ ვითარებაში მთავარია შევანელოთ ომის საფრთხე, მსოფლიო მოვლენების მიმდინარეობა შემოვაბრუნოთ დაძაბულობის შენელების მიმართულებით, გამოვნახოთ იმის გზები, რომ გადაწყვეტოთ გამალებული შეიარაღების უსწრაფესი შეწყვეტისა და განიარაღების გადაუდებელი საკვანძო ამოცანები. მომენტის ერთ-ერთი ყველაზე საარსებო მოთხოვნაა შეწყდეს ბირთვული შეიარაღების ზრდა.

ევროპაში, სადაც წარსულში ყველაზე დამანგრეველი და მომაკვდინებელი ომები დაწყებულა, სადაც უკვე თავმოყრილია საშუალებები, რომლებსაც შეუძლიათ ათჯერ მოსპონ ყოველივე ცოცხალი, არა მარტო არ არის საჭირო ახალი იარაღის დამატება, არამედ უნდა დაიწყოს არსებული შეიარაღების შემცირება.

სსრ კავშირისა და საფრანგეთის ხალხები დაზარალდნენ ორი მსოფლიო ომის დროს და მძიმე დანაკლისი განიცადეს. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციები აცხადებენ, რომ ევროპა აღარ უნდა გადაიქცეს ბრძოლის ველად, მით უმეტეს ბირთვული იარაღის გამოყენების ველად. ასეთი შესაძლებლობა გადაჭრით უნდა გამოვრიცხოთ.

ორივე დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების, მუშამხრობელი ქვეყნების მოძრაობის, ნეიტრალური ქვეყნების, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების, მშვიდობისა და განიარაღების მომხრე სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მრავალრიცხოვან წინადადებებს, რომლებსაც, თუ მათ ყურად იღებენ, შეუძლიათ ხელი შეუწყონ წინსვლას ამ მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ კვლავ დაადასტურა მოსკოვის ამსწრნანდელ შეხვედრაზე შვიდი სოციალისტური ქვეყნის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების მიერ წამოყენებული ყველა წინადადება, რომელთა მიზანი როგორც ბირთვული შეიარაღების შემცირება ევროპაში, ისე სტრატეგიული შეიარაღების შემცირებაც, ის, რომ გამოირიცხოს კოსმოსში გამალებული

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲖᲔ.).

ᲕᲚᲐᲓᲘᲛᲔᲠ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲡ 90 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘ

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲔᲒᲘᲡ ᲒᲐᲚᲔᲠᲔᲘᲐᲨᲘ

...ᲩᲐᲜᲐᲬᲔᲠᲔᲑᲘᲗ აპრელებული უბის წიგნაკების ფურცლები. ცნობილი კარიკატურები, რომელსაც თან ახლავს ავტორის მახვილგონიერი ნაბატები. ეს და სხვა ექსპონატები, რომლებიც ასახავენ XX საუკუნის სიტყვის ერთ-ერთი უდიდესი ოსტატის — ვლადიმერ მაიაკოვსკის მჩქეფარე და მრავალმხრივ შემოქმედებით ცხოვრებას, წარმოდგენილია საქართველოს სურათების გალერეაში.

მოსკოვის პოეტის მემორიალური მუზეუმის ფონდებიდან ექსპოზიციაზე წარმოდგენილია ტრიბუნის დელეგაციები აცხადებენ, რომ ევროპა აღარ უნდა გადაიქცეს ბრძოლის ველად, მით უმეტეს ბირთვული იარაღის გამოყენების ველად. ასეთი შესაძლებლობა გადაჭრით უნდა გამოვრიცხოთ.

ორივე დელეგაცია ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს სოციალისტური ქვეყნების, მუშამხრობელი ქვეყნების მოძრაობის, ნეიტრალური ქვეყნების, ჩრდილოეთ ევროპის ქვეყნების, მშვიდობისა და განიარაღების მომხრე სხვადასხვა პოლიტიკური ორგანიზაციების მრავალრიცხოვან წინადადებებს, რომლებსაც, თუ მათ ყურად იღებენ, შეუძლიათ ხელი შეუწყონ წინსვლას ამ მიმართულებით.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ კვლავ დაადასტურა მოსკოვის ამსწრნანდელ შეხვედრაზე შვიდი სოციალისტური ქვეყნის ხელმძღვანელი პარტიული და სახელმწიფო მოღვაწეების მიერ წამოყენებული ყველა წინადადება, რომელთა მიზანი როგორც ბირთვული შეიარაღების შემცირება ევროპაში, ისე სტრატეგიული შეიარაღების შემცირებაც, ის, რომ გამოირიცხოს კოსმოსში გამალებული

(ᲓᲐᲡᲐᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲕ-2 ᲖᲔ.).

ᲒᲕᲘᲜᲓᲔᲕᲡ ᲚᲘᲢᲔᲠᲐᲢᲣᲠᲘᲡ ᲛᲣᲖᲔᲣᲛᲘ...

12 ᲘᲕᲚᲘᲡᲡ საქართველოს გ. ლეონიძის სახელობის ლიტერატურის მუზეუმში გაიხსნა ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავისადმი მიძღვნილი გამოფენა. ფოტომასალები, წიგნები, ქართველი მხატვრების ნაწარმოებები ხატოვნად მოგვითხრობენ დიდი პოეტის შესახებ. საქართველო განსაკუთრებული სიყვარულით აღნიშნავს რევოლუციის მეხოტბის იუბილეს, რომელმაც მშობლიურ მიწაწყალს მიუძღვნა შთაგონებული პოეტური სტრიქონები. გამოფენის მასალები ასახავენ ვ. მაიაკოვსკის მეგობრობას ქართველ თანამოკალმეებთან, პოეტის საქართველოში ჩამოსვლას.

ექსპოზიციაში დიდი ადგილი ეთმობა მაიაკოვსკის ლექსების ქართულ თარგმანებს, რომლებშიც აღბეჭდილია „შემტევი კლასისა“ და მისი პარტიის დიდებული საქმენი, ილიჩის ტიტანური ფიგურა, პარტიისა და ხალხის ერთიანობა, ლენინური საქმის უკვდავება.

გამოფენამ დიდი ინტერესი გამოიწვია. (საქინფორმი).

ᲓᲘᲓᲘ ᲖᲔᲘᲛᲘ ᲛᲐᲘᲐᲙᲝᲕᲡᲙᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲒᲣᲨᲘᲜ თბილისიდან ქუთაისში ჩამოვიდნენ ვლადიმერ მაიაკოვსკის დაბადების 90 წლისთავის აღსანიშნავი საიუბილეო დღეების მონაწილენი. სტუმრებს შორის არიან საბჭოთა ლიტერატურის თვალსაჩინო წარმომადგენლები, საზღვარგარეთის მთელი რიგი ქვეყნების მწერლები და პოეტები.

საპატიო სტუმრებს დახვდნენ ქუთაისისა და მაიაკოვსკის რაიონის მშრომელთა წარმომადგენლები, პარტიული, საბჭოთა, კომკავშირული ხელმძღვანელი მუშაკები, მოსწავლე ახალგაზრდობა. მათ ყვავილების თაიგულები მიართვეს სტუმრებს.

დღითივე სტუმარ-მასპინძლები პოეტის შობლიურ მაიაკოვსკში გაემგზავრნენ. რაიონის მშრომელები ქუთაისიდან მაიაკოვსკის მთელ გზაზე გულთბილად ხვდებოდნენ სტუმრებს. განსაკუთრებით ამაღელვებელი შეხვედრა გაიმართა სოფელ ვარციხეში. გზის გასწვრივ

ერთობლივი განცხადება

(დასასრული)

შეიარაღების გავრცელების შესაძლებლობა. ამ მიმართულებით გადადგმული დიდი ნაბიჯი გახდებოდა ბირთვული სახელმწიფოების მიერ რაოდენობრივი და თვისებრივი თვალსაზრისით ყველა იმ ბირთვული შეიარაღების ერთდროული გაყინვა, რომელიც მათ აქვთ. სკკპ დელეგაციამ ყურადღება მიაპყრო სოციალისტური სახელმწიფოების ახალ წინადადებას ნატოს წევრი სახელმწიფოებისადმი იმის შესახებ, რომ დაუყოვნებლივ დაიწყონ უშუალო მოლაპარაკება, რათა მიაღწიონ შეთანხმებას, რომ 1984 წლის იანვრიდან არ გაზარდონ სამხედრო ხარჯები და დასაზონ შემდგომ პერიოდში ამ ხარჯების პრაქტიკული ურთიერთშემცირების კონკრეტული ღონისძიებანი.

ორივე პარტიამ დაადასტურა, რომ ესწრაფვის იმოქმედოს ბლოკების ერთდროულად გაუქმების სასარგებლოდ. საყოველთაო და კონტროლს დაქვემდებარებული განიარაღების სასარგებლოდ.

ორივე პარტიიდან თითოეული მზად არის იმოქმედოს ყველასთან ერთად, ვისაც ეს სურს, ყველა მთავრობასთან, პროფკავშირულ, საზოგადოებრივ, პოლიტიკურ და რელიგიურ ძალებთან, ყველა ხალხთან იმისათვის, რომ ქენევაში მიაღწიონ შეთანხმებას.

ამას ისახავს მიზნად საფრანგეთის კომუნისტური პარტია, როცა აყენებს წინადადებას მოახდინონ ჟენევის მოლაპარაკების დებლოკირება და ხელი შეუწყონ მის პოზიტიურ დამთავრებას: გასსნან ეს მოლაპარაკება ყველა დაინტერესებული მთავრობისათვის, ესე იგი ევროპის ყველა მთავრობისათვის. ამ მხრივ, საფრანგეთის კომპარტიის აზრით, შეიძლება გადაიდგას ყველასათვის მისაღები ნაბიჯები, რომელთა მიზანი ის იქნება, რომ შეეცადონ შეამცირონ შეიარაღება ყველაზე დაბალ დონემდე, შეინარჩუნონ ძალთა წონასწორობა და უზრუნველყონ ყოველი ხალხისა და ყოველი სახელმწიფოს უშიშროება.

როგორც ამ უკანასკნელი პუნქტის გამო საფრანგეთის კომუნისტური პარტიის დელეგაციამ განაცხადა, საფრანგეთს აქვს საკმარისი ბირთვული ძალები იმისათვის, რომ უზრუნველყოს თავისი უშიშროება და დამოუკიდებლობა. ეს ძალები არ შეიძლება გახდეს ისეთი მოლაპარაკების საგანი, რომელიც მიზნად დასახავს მათს შეცირებას. რა თქმა უნდა, თუ განახორციელებენ თანდათანობითი განიარაღების კონკრეტულ ღონისძიებებს, რომლებიც უზრუნველყოფს ევროპაში და მთელ მსოფლიოში ძალთა წონასწორობას და ყოველი ქვეყნის უშიშროებას, დადგება მომენტი, როცა ეს საკითხი შეიძლება დაისვას.

ამავე დროს საფრანგეთის კომუნისტურ პარტიას მიაჩნია, რომ, რადგან საფრანგეთი ჩრდილო ატლანტიკური კავშირის წევრია და როგორც ასეთს აკისრია აქედან გამომდინარე ვალდებულებანი, მისი ბირთვული ძალები ამ ფარგლებში უნდა გაითვალისწინონ ევროპაში არსებული ძალების საერთო დათვლის დროს.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის დელეგაცია ინტერესით მოეკიდა საფრანგეთის კომპარტიის მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს. მან დაადასტურა ცნობილი საბჭოთა პოზიცია, რომელიც იმას გულისხმობს, რომ საფრანგეთის ბირთვული არსენალი უნდა გაითვალისწინონ ევროპაში ბირთვული შეიარაღების შესაბამისი ბალანსის გამოყვანისას, მაგრამ ეს არ ნიშნავს მოთხოვნას შეამცირონ ეს არსენალი.

ორივე პარტია დარწმუნებულია, რომ მადრიდის შეხვედრის დამთავრება და უწინარეს ყოვლისა — შეთანხმება ევროპაში ნდობის, უშიშროების ღონისძიებებისა და განიარაღების საკითხზე კონფერენციის მოწვევის შესახებ დიდმნიშვნელოვანი პოზიტიური შედეგი იქნება.

მათ კვლავ განაცხადეს, რომ მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი ხელი შეუწყონ ყველა კონფლიქტის პოლიტიკურ გადაწყვეტას ყოველი სახელმწიფოს სუვერენიტეტის, დამოუკიდებლობის, თანასწორუფლებიანობის, ჩაურევლობისა და თითოეული ქვეყნის უშიშროების უფლების პატივისცემის საფუძველზე.

ყოველი ღონე უნდა ვიხმაროთ, რომ შევინელოთ საერთაშორისო დაძაბულობა, განვამტიკოთ მშვიდობიანი თანაარსებობა, ვიაროთ წინ დაძაბულობის შენელებისა და განიარაღების გზით.

ორივე დელეგაცია შეეხო აგრეთვე ევრო განვითარებადი ქვეყნის ხალხთა დრამატული მდგომარეობის საკითხს. მე-20 საუკუნის დამლევს ორმოცი მილიონი კაცი, რომელთა ნახევარს ბავშვები შეადგენენ, ყოველწლიურად შიმშილით კვდება, დაახლოებით ნახევარი მილიარდი ადამიანი შიმშილობს. პლანეტის სამხედრო ხარჯები ოცჯერ სჭარბობს განვითარებადი ქვეყნებისადმი სახელმწიფო დახმარების საერთო თანხას.

ბოლო უნდა მოვუღოთ ადამიანის ღირსების ამგვარ შეურაცხყოფას.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ გადაწყვიტეს ამრავლონ მეცადინეობა, რათა გამოეხმაურონ ამ ხალხების მოწოდებას, რომელიც მთელი ძალით გაისმა მიუმხრობელი ქვეყნების უმაღლესი დონის ამასწინანდელ თათბირზე. ისინი გარკვევით აცხადებენ, რომ დღეს პროგრესისა და განვითარების საქმე, ეროვნული, სოციალური და ჰუმანური განთავისუფლების საქმე განუყოფელია მშვიდობისა და განიარაღებისათვის გადამწყვეტი ბრძოლისაგან. ამ სულისკვეთებით იბრძვიან ისინი ფართო საერთაშორისო თანამშრომლობის მოგვარებისათვის, რომელიც შესაძლებლობას შექმნის ვიაროთ წინ ახალი საერთაშორისო წესრიგის დამყარებისაკენ, რომლისთვისაც იღვწიან ხალხები.

ორივე პარტიის დელეგაციები აცხადებენ, რომ ყოველ ხალხს უფლება აქვს თავისი არჩევანის შესაბამისად აშენოს საზოგადოება. ზოგიერთი ხალხი, რომლებიც დღეს სოციალისტურ საზოგადოებას აშენებენ, სხვადასხვა რეალობით და თავისი ქვეყნის ფრიად მრავალფეროვანი პირობებით ხელმძღვანელობს, წყვეტს ამ ხალხების წინაშე მდგომ კონკრეტულ პრობლემებს. კონსერვატიულ ძალებს არ სურთ შეურიგდნენ ამას. ისინი ილაშქრებენ ყოველგვარი პროგრესული იდეის წინააღმდეგ და ცდილობენ დამახინჯებულად წარმოადგინონ ამ საზოგადოებათა სინამდვილე, რომლებიც ჩამოყალიბების პერიოდს განიცდიან.

ორივე პარტიის დელეგაციები აცხადებენ: ანტიკომუნიზმი თავისი ყოველგვარი ფორმით ეწინააღმდეგება საყოველთაო მშვიდობის ინტერესებს.

ნამდვილი იდეოლოგიური ომი, რომელსაც იმპერიალიზმის აგრესიული წრეები ეწევიან, რათა გაამართლონ თავიანთი პოლიტიკა, მაინც ვერ ფარავს იმ ფაქტს, რომ დღეს ყოველ ხალხს, ყოველ სახელმწიფოს მისი საზოგადოებრივი წყობილებისა მიუხედავად, მშვიდობა სჭირდება. თუ არ უზრუნველყოფთ მშვიდობას, უშიშროებას, განიარაღებას, ხალხთა მეგობრობას, ვერ მივაღწევთ პროგრესს, სამართლიანობას, დემოკრატიას, თავისუფლებას, ვერ უზრუნველყოფთ და ვერც გავაფართოებთ ადამიანის უფლებებს.

ამიტომ საფრანგეთის კომუნისტური პარტია და საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია მზარს უკერენ საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი ურთიერთობის დამყარებას, სახელმწიფოთა შორის ურთიერთხელსაყრელი გაცვლის განვითარებას. ორივე პარტია დარწმუნებულია, რომ თანხმობა, მეგობრობა, თანამშრომლობა ფრანგ და საბჭოთა ხალხებს შორის, საფრანგეთსა და სსრ კავშირს შორის ემსახურება ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობისა და უშიშროების საქმეს.

ამ ურთიერთობას თვით ისტორიის მიერ განმტკიცებული ღრმა ფესვები აქვს. მეორე მსოფლიო ომის ქარცეცხლიან წლებში გამოწრთობილი ჩვენი ხალხებისა და ქვეყნების ურთიერთობა შეიძლება კიდევ უფრო განვითარდეს უკვე მიღწეული დიდმნიშვნელოვანი შედეგების საფუძველზე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტურმა პარტიამ და საფრანგეთის კომპარტიამ გამოთქვეს აზრი რომ ორმხრივი ურთიერთობის ახლანდელ ეტაპზე ქვაკუთხედად უნდა მიიჩნინონ ევროპაში მშვიდობისა და უშიშროების ინტერესებით ნაკარნახევი მიდგომა. ეს გულისხმობს ორივე მხარის აუცილებელ მეცადინეობას ურთიერთსარგებლიანობის საფუძველზე, ორივე ქვეყნის ხალხთა ინტერესებისათვის თანამშრომლობის არსებულ მრავალფეროვან შესაძლებლობათა უკეთ გამოყენების თვალსაზრისით.

გამოდიოდეს, თუ რაოდენ სასარგებლოა ასეთი თანამშრომლობა ეკონომიკურ, პოლიტიკურ, კულტურულ, სამეცნიერო, ტექნიკურ დარგებში. საბჭოთა კავშირის კომუნისტურ პარტიასა და საფრანგეთის კომპარტიას მიაჩნიათ, რომ არსებობს ამ თანამშრომლობის შემდგომი განვითარების ახალი შესაძლებლობანი.

ორივე პარტიამ „მაყოფილება გამოთქვა იმის გამო, რომ მათ შორის არსებობს მეგობრობა და ინტერნაციონალური სოლიდარობა და დათქვეს განამტკიცონ თავიანთი ნაყოფიერი თანამშრომლობა დიადი, საერთო მიზნებისათვის ბრძოლაში.

ვაჭრობა, მომხმარებელი

საქონელბრუნვის გეგმების შესრულდეს

ბათუმი. აქ გაიმართა აჭარის ასსრ რესპუბლიკის პარტიული და საბჭოთა მუშაკების, უწყება-სამინისტროებისა და საკავშირო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი, რომელიც მიეძღვნა ავტონომიური რესპუბლიკის საკავშირო ორგანიზაციათა მიერ საქონელბრუნვის გეგმების შესრულების საკითხებს.

აჭარის ასსრ ვაჭრობის მინისტრის ი. ხარაზნისა და აჭარის კოოპ-კავშირის გამგეობის თავმჯდომარის ა. თავდგირიძის მოხსენებებში, თათბირის მონაწილეთა გამოსვლებში აღინიშნა, რომ აჭარაში სერიოზული ჩამორჩენა შეიმჩნევა საქონელბრუნვის გეგმების შესრულების მხრივ. 44 საკავშირო ორგანიზაციიდან 18 ვერ ასრულებს გეგმებს. განსაკუთრებით ჩამორჩენილნი აჭარის ასსრ ვაჭრობის სამინისტროს, აჭარხილბოსტანეკონომიკურ სისტემები, ბათუმისა და ქობულეთის ნავთობბაზები, „საქონელირეალიზაციის“ ბათუმისა და ქობულეთის მაღაზიები და სხვა ორგანიზაციები. ჩამორჩენა, ძირითადად, გამოწვეულია ამ სავაჭრო ორგანიზაციათა არადამაკმაყოფილებელი მუშაობით. ჯეროვანი ყურადღება არ ეთმობა კომერციულ შუამობას, ვაჭრობის პროგრესული ფორმების ფართო დანერგვას.

თათბირზე აღინიშნა, რომ ხშირად ფერხდება მოსახლეობის უზრუნველყოფა მასობრივი მოთხოვნილების საქონლით. ბევრი სახეობის საქონელი ავტონომიურ რესპუბლიკაში არ გამოდის, სავაჭრო ორგანიზაციები კი არ ახორციელებენ ქმედითს ღონისძიებებს სხვა რესპუბლიკიდან ამ საქონლის შემოსატანად.

ხშირია შემთხვევები, როცა ზოგიერთი საქონელი საკმარისად არის ბაზებსა და საწყობებში, მაგრამ უნიათო მუშაკები არ უზრუნველყოფენ მათს დროულ შეტანას სავაჭრო ქსელში.

სახელმწიფო და კოოპერაციული ვაჭრობის სისტემაში არის ხარვეზი ფართო მოთხოვნილების საქონლის გადამავლის, უფაქტურო საქონლის ვაჭრობის შემთხვევები, მომხმარებელთა ზომაწონასა და ანგარიშში მოტყუების ფაქტები.

ხაზგასმით აღინიშნა, რომ ჯერ კიდევ არ ეთმობა საკმარისი ყურადღება სახალხო მოხმარების საქონლის ხარისხის გაუმჯობესებას. სამრეწველო საწარმოები ხშირად უგზავნიან სავაჭრო ორგანიზაციებს პროდუქციას, რომელიც სტანდარტების, ტექნიკური პირობების დარღვევით არის დამზადებული. თათბირის მონაწილეებმა დასახეს ღონისძიებანი, რომელთა განხორციელება ხელს შეუწყობს ვაჭრობის ორგანიზაციის გაუმჯობესებას და საქონელბრუნვის გეგმების უცილობელ შესრულებას.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პიროსმანი წევრობის კანდიდატმა, პარტიის აჭარის საოლქო კომიტეტის პირველმა მდივანმა ვ. პაპუნიძემ.

თათბირის მუშაობის შედეგები შეაჯამა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ს. ხაბეიშვილმა.

(საქინფორმი).

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოში

(დასასრული)

სახელმწიფო კაპიტალდაბანდების ხარჯზე მიმდინარე წლის პირველ ნახევარში ამოქმედდა 9 პროცენტით მეტი ძირითადი ფონდები, ვიდრე 1982 წლის შესაბამის პერიოდში.

რამდენადმე გაუმჯობესდა რკინიგზის ტრანსპორტის მუშაობა. 1983 წლის იანვარ-ივნისში ტვირთზიდვის გეგმა შესრულდა 101,3 პროცენტით, გეგმის გადამეტებით გადატანილია 23,7 მილიონი ტონა ტვირთი.

თანამიმდევრულად ხორციელდება ხალხის კეთილდღეობის შემდგომი გაუმჯობესების პროგრამა. მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 1983 წლის პირველ ნახევარში გასული წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 2,2 პროცენტით გაიზარდა, სახელმწიფო სახსრებით აშენდა 28,4 მილიონი კვადრატული მეტრი საერთო ფართობის საცხოვრებელი სახლები. საექსპლოატაციოდ გადაეცა ბევრი ახალი სკოლა, საავადმყოფო, ბავშვთა სკოლამდელი დაწესებულება და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების სხვა ობიექტი.

სსრ კავშირის სახელმწიფო ბიუჯეტი 1983 წლის პირველ ნახევარში შემოსავლის ნაწილში შესრულდა 102,7 პროცენტით.

ამასთან ერთად სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაზე აღინიშნა ნაკლოვანებებიც. მთელმა რიგმა სამინისტროებმა, და უწინარეს ყოვლისა, სსრ კავშირის ქიმიური მრეწველობის სამინისტრომ, ხე-ტყის, ცელულოზა-ქაღალდისა და ხისდამუშავებელი მრეწველობის სამინისტრომ, სსრ კავშირის მსუბუქი მრეწველობის სამინისტრომ, ენერგეტიკული მანქანათმშენებლობის სამინისტრომ, მძიმე და სატრანსპორტო მანქანათმშენებლობის სამინისტრომ ვერ უზრუნველყვეს ზოგიერთი ისეთი მნიშვნელოვანი სახეობის პროდუქციის წარმოების გეგმების შესრულება, როგორიცაა სინთეზური ფისები და პლასტიკური მასები, კაუსტიკური სოდა, ხე-ტყის მასალები, ფეხსაცმელი და ტრიკოტაჟის ნაწარმი, ტურბინები და სხვა სახეობათა პროდუქცია.

სსრ კავშირის ცალკეულმა სამინისტროებმა, უწყებებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა ვერ უზრუნველყვეს სათბობის, თბო და ელექტროენერგიის დაზოგვის დავალებათა შესრულება.

მშენებლობის სამინისტროები არადამაკმაყოფილებლად ასრულებენ დადგენილ ვადებში საწარმოო სიმძლავრეებისა და ძირითადი ფონდების ამოქმედების დავალებებს, ურიგდებიან მრავალრიცხოვან ობიექტებზე რესურსების დაქსაქსვას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ დაავალა სსრ კავშირის მინისტრებს, უწყებათა ხელმძღვანელებს და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებს გულდასმით გააანალიზონ საქვეუწყებო საწარმოებისა და ორგანიზაციების მიერ 1983 წლის პირველი ნახევრის საგეგმო დავალებათა შესრულების შედეგები და იხელმძღვანელონ რა პარტიის XXVI ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების გადაწყვეტილებებისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მითითებებით, კონომიკის დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების საკითხებზე, შეიმუშაონ და განახორციელონ 1983 წლის გეგმებისა და შრომითი კოლეტივების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, დაამკვიდრონ სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებაში საანგარიშო პერიოდში მიღწეული დადებითი ტენდენციები. უზრუნველყონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მისი ინტენსიფიკაცია, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ საჭიროა კარდინალურად აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, რომელიც ეკონომიკის სფეროს ძირითადი ამოცანაა, რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენონ მატერიალური და ფინანსური რესურსები, გააძლიერონ მომჭირნეობის რეჟიმი, გამოიკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი და გაფართოონ ასორტიმენტი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ორგანიზებულად მიეწყოს მოსავლის აღება და საკვების დამზადება, ამაღლდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა, უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს წლის მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის შესყიდვის სახელმწიფო გეგმები, მთლიანად შეინარჩუნონ იგი და დროულად გადაამუშაონ, შექმნან საიმედო საფუძველი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისა და სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის.

მშენებლობის სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მაქსიმალურად მთელი ძალები და სახსრები უნდა მოახმარონ საწარმოო სიმძლავრეების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ამოქმედების დავალებათა შესრულების უზრუნველყოფას.

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს სხდომაში მონაწილეობდნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრი ჰ. ა. ალიევი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატი ვ. ი. ვოროტნიკოვი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ნ. ი. რიჟკოვი.

სხდომაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ა. ტიხონოვმა.

(საკდესი).

ბალი უხვმოსავლიანი უნდა იყოს!

ორი ბაღი ერთიმეორის მეზობლად მდებარეობს. მაგრამ როგორ არ ჰგვანან ისინი ერთმანეთს! თვალს ახარებს გორის რაიონის ვარიანის საბჭოთა მეურნეობის მოვლილი ხეები, მწყობრ რიგებად რომ გადაჭიმულა მთის ძირამდე. სულ სხვანაირი გრძნობა გიპყრობს, ქარელის რაიონის ფცის საბჭოთა მეურნეობის დაჩიავებულ და ხელმიშვებულ ხეხილს რომ უყურებ. ვიზუალურ შთაბეჭდილებებს ემატება სტატისტიკური მონაცემები: ვარიანელები საშუალოდ ჰექტარზე იღებენ 80 ცენტნერზე მეტ ხილს, მათი მეზობლები — 20 ცენტნერზე ოდნავ მეტს, ლამის სამჯერ ნაკლებს გეგმასთან შედარებით. ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს მცირემოსავლიანი ბაღის პროდუქციის ხარისხიც.

გორში გამართულ მეზილეთა და გადამმუშავებელი მრეწველობის მუშაკთა რესპუბლიკურ თათბირზე მოიყვანეს მეურნეობრობის სხვა კონტრასტული მაგალითებიც, შეაჯერეს საქმის ვითარება. მაგალითად, გორის რაიონის სოფელ ტყვიავის კოლმეურნეობასა და კასპის რაიონის ლამისყანის საბჭოთა მეურნეობაში. შარშან ტყვიაველებმა რეკორდული ხილის მოსავალი მოიწიეს, ლამისყანელებმა — გეგმაზე 4-ჯერ ნაკლები, ზარალმა 50 ათას მანეთს გადააჭარბა.

როგორ მოხდა, რომ მძლავრ, მაღალრენტაბელურ მეურნეობებთან ერთად ჩვენში არის საკმაოდ ბევრი ჩამორჩენილი მეზილეობის კოლმეურნეობა და საბჭოთა მეურნეობა? რესპუბლიკაში ხომ შექმნილია ყველა პირობა დარგის განვითარებისათვის, სამრეწველო საფუძველზე მისი გაკეთრებით გვხვდება თვალში ნაკლოვანებანი, გადასაწყვეტი პრობლემები. საზოგადოებრივი მეურნეობათა ბაღებს მოსახლეობის საკარმიდამო ბაღებისაგან განსხვავებით, თუმცა აქვთ საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მაგრამ რაგინდ პარადოქსულიც უნდა იყოს, გაცილებით ნაკლებპროდუქტიულია. აი ფაქტები: 1981-1982 წლებში საზოგადოებრივმა მეურნეობებმა სახელმწიფოს დააკლეს 66 ათასი ტონა ხილი. მიზეზია მიწათმოქმედების დაბალი კულტურა, და როგორც შედეგი — ბაღების მცირე მოსავლიანობაც. იმ რაიონებს, სადაც ხეხილი ხელმიშვებულია, განეკუთვნებიან ადიგენის, ასპინძის, ახალციხის, ხაშურის, ზნაურის, ლენინგორის, მცხეთისა და ალმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს სხვა რაიონები.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ თვით ისეთ მსხვილ მეზილეობის რაიონებში, როგორიც არის გორის, კასპისა და ქარელის რაიონები, არის მეურნეობები, სადაც დარგის განვითარება თვითდინებაზეა მიშვებული. ამის მაგალითი საკმაოზე მეტია. მოვიყვანთ მხოლოდ განმაზოგადებელ მონაცემებს: ეს რაიონები და სამხრეთ ოსეთი ყოველწლიურად სახელმწიფოს საშუალოდ აკლებენ 130-150 ათას ტონა ხილს.

განა შეიძლება შეეურიგდეთ იმას, რომ დუშეთის რაიონის კოლმეურნეობებში შარშან საშუალოდ ჰექტარზე მოკრიფეს სამი, ხოლო საბჭოთა მეურნეობებში — 7 ცენტნერი ხილი, წულუკიძის რაიონში — შესაბამისად 5 და 3 ცენტნერი. ესე იგი ყოველმა ხემ მოგვცა... 4 კილოგრამი ხილი! სასაცილო ციფრია.

გაანალიზეს რა საქმის მდგომარეობა მებაღეობაში, თათბირის მონაწილეებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ დარგის განვითარების შემაფერხებელ ფაქტორებს შორის ყველაზე არსებითია ის, რომ მეურნეობები არ იცავენ კულტურების მოყვანა-მოყვანის აგროტექნიკის წესებს, დიდია ბაღების სიმეჩხრე, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა, რაიონული აგროსამრეწველო გაერთიანებების თავმჯდომარეებმა არ იციან, ზოგჯერ კი არ სურთ გამოიყენონ მეცნიერთა რეკომენდაციები, დანერგონ პროგრესული ტექნოლოგია, ახალი ჯიშები. არადა, ხომ ცნობილია, რომ ინტენსიური ტიპის ბაღები, რომლებსაც ჩვენში 10 ათას ჰექტარზე ოდნავ მეტი ფართობი უჭირავთ, ლამის ერთიორად მეტ ზიდიუმის თავმჯდომარის ი. ვ. ანდროპოვის მითითებებით, კონომიკის დაგეგმვისა და მართვის გაუმჯობესების საკითხებზე, შეიმუშაონ და განახორციელონ 1983 წლის გეგმებისა და შრომითი კოლეტივების მიერ ნაკისრი სოციალისტური ვალდებულებების მთლიანად და გადაჭარბებით შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებანი, დაამკვიდრონ სახალხო მეურნეობის დარგების განვითარებაში საანგარიშო პერიოდში მიღწეული დადებითი ტენდენციები. უზრუნველყონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტიანობის ამაღლება, მისი ინტენსიფიკაცია, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ იმას, რომ საჭიროა კარდინალურად აამაღლონ შრომის ნაყოფიერება, რომელიც ეკონომიკის სფეროს ძირითადი ამოცანაა, რაციონალურად და ეფექტიანად გამოიყენონ მატერიალური და ფინანსური რესურსები, გააძლიერონ მომჭირნეობის რეჟიმი, გამოიკიცონ სახელმწიფო და შრომის დისციპლინა, აგრეთვე მნიშვნელოვნად გაადიდონ სახალხო მოხმარების საქონლის წარმოება, გააუმჯობესონ მისი ხარისხი და გაფართოონ ასორტიმენტი.

მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებსა და სსრ კავშირის შესაბამის სამინისტროებსა და უწყებებს წინადადება მიეცათ განახორციელონ ყველა საჭირო ღონისძიება, რათა ორგანიზებულად მიეწყოს მოსავლის აღება და საკვების დამზადება, ამაღლდეს მეცხოველეობის პროდუქტიულობა, უთუოდ მთლიანად და გადაჭარბებით შესრულდეს წლის მარცვლეულის, ხორცის, რძისა და სოფლის მეურნეობის სხვა პროდუქციის შესყიდვის სახელმწიფო გეგმები, მთლიანად შეინარჩუნონ იგი და დროულად გადაამუშაონ, შექმნან საიმედო საფუძველი სასოფლო-სამეურნეო წარმოების შემდგომი აღმავლობისა და სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის წარმატებით რეალიზაციისათვის.

მშენებლობის სამინისტროებმა და მოკავშირე რესპუბლიკების მინისტრთა საბჭოებმა მაქსიმალურად მთელი ძალები და სახსრები უნდა მოახმარონ საწარმოო სიმძლავრეების, აგრეთვე საცხოვრებელი სახლებისა და კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების ობიექტების ამოქმედების დავალებათა შესრულების უზრუნველყოფას.

